



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000095686851920

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 27

01 / ივლისი / 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე 111911.0კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 5000.0კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის, ქირის სანჯისი საფასურისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანჯისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანჯისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე მუხლების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის და 54-ე მუხლის, შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :


1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ფიჩხოვანში მდებარე 111911.0კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 5000.0კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი აღნაგობის უფლებით მოქ. შონ ლომთაძისათვის გადაცემა. ს/კ 50.09.35.339; 50.09.35.340
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით გასაცემი სოფ. ფიჩხოვანში მდებარე
 - ა) 111911.0 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის:

-	სარგებლობის უფლებით	გაცემის წლიური ქირის	საფასური	-5036,0	(ხუთიათას
					ოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.
 - ბ) 5000.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის:

-	სარგებლობის უფლებით	გაცემის წლიური ქირის	საფასური	-2750,0	(ორიათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.
---	---------------------	----------------------	----------	---------	---
 - გ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 49 წელი.
 - დ) სარგებლობის უფლებით გადაცემის პირობები შემდეგი სახით:

- მშენებლობაზე განხორციელდეს არანაკლებ 750000 (შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიცია.
 - ინვესტიცია განხორციელდეს მიწის სარგებლობაში მიღებიდან არაუმეტეს ოთხი წლის ვადაში.
3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.№101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამვდასმულია
ელექტრონულად 

თამარ ყვინიშვილი